ინტერნეტმომსახურების სააბონენტო ხელშეკრულება

რედაქცია 30.09.2026 · არქივი. მოქმედი ვერსია: ilink.ge/contract/

ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს შპს „აილინკის" მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

ქ. მარნეული თარიღი: [30.09.2026]

1. მხარეები

	მომსახურების მიმწოდებელი	**აბონენტი**
სახელწოდება / სახელი, გვარი	შპს „აილინკ" (i.link)	
საიდენტიფიკაციო / პირადი N	434162327	
იურიდიული მისამართი / რეგისტრაციის მისამართი	საქართველო, ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N41	
მომსახურების მიწოდების მისამართი	—	
ტელეფონი	ცხელი ხაზი: 0 707 777 777	
ელექტრონული ფოსტა	Ilink5858@gmail.com	
ვებგვერდი	www.ilink.ge	—
წარმომადგენელი (საჭიროების შემთხვევაში)	[სახელი, გვარი, თანამდებობა]	[სახელი, გვარი, პირადი N, მინდობილობა]

1.1. აბონენტის ვინაობა ხელშეკრულების დადებისას მოწმდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. მიმწოდებელი უფლებამოსილია აბონენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები გადაამოწმოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მონაცემთა ბაზაში (რეგლამენტის 8^{3} მუხლის 2^{1} პუნქტი).

1.2. ხელშეკრულება იდება მხოლოდ 18 წელს მიღწეულ ქმედუნარიან პირთან ან იურიდიულ პირთან.

2. მომსახურება და ხარისხის მაჩვენებლები

მომსახურების სახე	**ფიქსირებული ინტერნეტმომსახურება**
ტექნოლოგია	ოპტიკურ-ბოჭკოვანი (GPON) უსადენო (Wi-Fi / რადიო)

მომსახურების სახე	ფიქსირებული ინტერნეტმომსახურება
სატარიფო პაკეტი	[პაკეტის დასახელება, მაგ. „Express"
მაქსიმალური სიჩქარე (ჩამოტვირთვა / ატვირთვა)	მბიტ/წმ
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე	არანაკლებ მაქსიმალური სიჩქარის 80%-ისა: მბიტ/წმ
მინიმალური (გარანტირებული) სიჩქარე	მაქსიმალური სიჩქარის 25%: მბიტ/წმ
დაყოვნება / ჯიტერი / პაკეტების დაკარგვა	≤ 400 მწ / ≤ 50 მწ / ≤ 3%
პიკის საათები	20:00 – 24:00
პირველადი ჩართვის ვადა	ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს [3/4] სამუშაო დღისა (მაქს. 20 სამუშაო დღე)

2.1. ხარისხის მაჩვენებლების გაზომვის წესი, ტრაფიკის მართვის პროცედურები და მაჩვენებლების დაუცველობის შემთხვევაში აბონენტის უფლებები განსაზღვრულია სტანდარტული პირობების მე-5 და მე-8 მუხლებით.

3. ფასი და გადახდა

ყოველთვიური სააბონენტო საფასური	ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
პირველადი ჩართვის (ინსტალაციის) საფასური	ფასი განისაზღვრება რაიონის მიხედვით . ლარი
დამატებითი მომსახურება (ასეთის არსებობისას)	[.....]
გადახდის წესი	წინსწრებით, ყოველ საანგარიშო პერიოდზე (30 კალენდარული დღე)
გადახდის საშუალებები	სწრაფი გადახდის აპარატები და ონლაინ სისტემები (Expresspay, TBC Pay, BOG Pay და სხვ.), საბანკო გადარიცხვა; ყველა საშუალებით ტარიფი ერთნაირია

3.1. მიმწოდებლის მოქმედი ტარიფები მოცემულია ვებგვერდზე www.ilink.ge. აბონენტის პაკეტის ფასი ან სხვა პირობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ სტანდარტული პირობების მე-12 მუხლით დადგენილი წესით: აბონენტს ინდივიდუალურად ეცნობება არანაკლებ 1 თვით ადრე, და მას უფლება აქვს უფასოდ შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. აბონენტი ირჩევს ხელშეკრულების ვადას (მიმწოდებელი ვალდებულია შესთავაზოს აბონენტს 12-თვიანი ვადაც):

- ☐ **განუსაზღვრელი ვადით** — აბონენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, დამატებითი საფასურის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- ☐ **12 თვის ვადით** — ფასდაკლებით/სპეციალური პირობით: [აღწერა].
- ☐ **24 თვის ვადით** (მაქსიმალური ვადა) — ფასდაკლებით/სპეციალური პირობით: [აღწერა].

4.2. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გრძელდება განუსაზღვრელი ვადით, იმავე პირობებით, თუ აბონენტი არ მოითხოვს მის შეწყვეტას. ვადის გასვლამდე არანაკლებ 1 თვით ადრე მიმწოდებელი აბონენტს ატყობინებს ვადის ამოწურვის და შემდგომი პირობების შესახებ. გაგრძელების შემდეგ აბონენტს შეუძლია ხელშეკრულება ნებისმიერ დროს უფასოდ შეწყვიტოს.

4.3. განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას აბონენტს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ ფასდაკლების ნაწილის ანაზღაურება, რომლითაც მან რეალურად ისარგებლა: [ფორმულა/თანხა თვეების მიხედვით]. სხვა ჯარიმა ან საფასური არ დაეკისრება.

5. ტერმინალური მოწყობილობა

მოწყობილობა	სერიული / MAC N	სარგებლობის საფუძველი	საბაზრო ღირებულება (ლარი)
[ONU/ONT]	[_____]	უფასო დროებითი სარგებლობა	[___]
[Wi-Fi როუტერი]	[_____]	უფასო დროებითი სარგებლობა / შეძენილი	[___]

5.1. დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა მიმწოდებლის საკუთრებაა. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აბონენტი მას აბრუნებს ან მიმწოდებლის წარმომადგენელს, წინასწარ შეთანხმებულ დროს, ანიჭებს მოწყობილობის წაღების საშუალებას. თუ მოწყობილობა არ დაბრუნდება, ან აბონენტის ბრალით დაზიანდება (ჩვეულებრივი ცვეთის გარდა), აბონენტი იხდის მხოლოდ ზემოთ მითითებულ საბაზრო ღირებულებას. დემონტაჟი და მოწყობილობის წაღება უფასოა.

6. შეტყობინების არხი

6.1. მიმწოდებელი აბონენტს ინდივიდუალურ შეტყობინებებს (პირობების ცვლილება, შეზღუდვა, საჩივრის პასუხი და სხვ.) უგზავნის:

- ☐ SMS-ით ნომერზე: [_____]
- ☐ ელექტრონული ფოსტით: [_____]

6.2. საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ აბონენტი მიმწოდებელს 10 დღის ვადაში ატყობინებს.

7. აბონენტის ძირითადი უფლებები (მოკლე მიმოხილვა)

- ხელშეკრულების შეწყვეტა ნებისმიერ დროს, მიმწოდებლისთვის განცხადებით (სატელეფონო ზარი, ელ. ფოსტა, ოფისში მისვლა). მომსახურება და საფასურის დარიცხვა წყდება მოთხოვნილ თარიღზე, ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. გამოუყენებელი ბალანსი აბონენტს უბრუნდება მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.
- ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის (მათ შორის ფასის) ცვლილების შესახებ ინდივიდუალური შეტყობინების მიღება არანაკლებ 1 თვით ადრე, და ამ შემთხვევაში ხელშეკრულების უფასოდ შეწყვეტა.
- მიუღებელი მომსახურებისთვის საფასურის გადაანგარიშება. საფასური არ ირიცხება მომსახურების შეფერხების იმ პერიოდზე, რომელიც აბონენტის ბრალით არ არის გამოწვეული.
- საჩივრის წარდგენა მიმწოდებელთან. პასუხი დასაბუთებულად და წერილობით, არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.
- ნებისმიერ დროს მიმართვა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს (www.momxmarebeli.ge, defender@comcom.ge), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (www.comcom.ge) ან სასამართლოს. მიმწოდებელთან წინასწარ მიმართვა სავალდებულო არ არის.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ეს ხელშეკრულება, მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა (ვებგვერდზე: www.ilink.ge) ერთიან ხელშეკრულებას ქმნიან. წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულებას, თუ ის აბონენტისთვის უფრო ხელსაყრელია.

8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე (დისტანციური დადებისას — აბონენტის მიერ თანხმობის დადასტურებისთანავე). ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, თითო თითოეული მხარისთვის. ელექტრონულად დადებისას ასლი აბონენტს ეგზავნება ელ. ფოსტით ან SMS ბმულით.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. აბონენტის მოთხოვნით მიმწოდებელი უზრუნველყოფს რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანს. სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ქართულ ტექსტს ენიჭება.

9. აბონენტის დადასტურება და თანხმობები

- ☐ ხელშეკრულების დადებამდე გავეცანი ამ ხელშეკრულებას, მომსახურების სტანდარტულ პირობებს, ტარიფებს და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკას; მივიღე მათი ასლი (ან ბმული).
- ☐ ვეთანხმები სარეკლამო და საინფორმაციო შეტყობინებების მიღებას (**ნებაყოფლობითია**; უარი ან თანხმობის გამოხმობა ნებისმიერ დროს შესაძლებელია და მომსახურებაზე გავლენას არ ახდენს).

მომსახურების მიმწოდებელი	**აბონენტი**
შპს „აილინკ" უფლებამოსილი პირი: [გ.ეთირმიშლი] ხელმოწერა: _____ ბ.ა.	სახელი, გვარი: [_____] ხელმოწერა: _____ თარიღი: [__.__.20__]